პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 16 იანვარი, 1942 წ. № 13 (6329). ფასი 15 კაპ.

ჰიტლერის სარდლობის შესაზარი ბრძანება

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ჰიტლერის სარდლობის დოკუმენტს, რომელიც ხელთ იგდეს ჩვენმა ჯარებმა. ეს დოკუმენტი თავისი შესაზარი სისასტიკითა და უმაგალითო ცინიზმით აღემატება ყველაფერს, რაც კი დღემდე ცნობილია. ეს არის ჰიტლერის მიერ მოწონებული, გერმანიის მე-6 არმიის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ ფონ რაიხენაუს 1941 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება „აღმოსავლეთში ჯარების [illegible]

[illegible]

ბილწისაგან, ყველგან ნახულობენ ჰიტლერელი არამზადების თარეშის სისხლიან ნაკვალევს. მათ თვალწინ, მთელი საბჭოთა ხალხის თვალწინ იმლება გადაბუგული სოფლები და დაბები; ათიათასობით მოკლულ მშვიდობიან მცხოვრებთა გვამები; მხეცურად ნაწამები ბავშვები; საყოველთაო ძარცვისა და ყაჩაღობის ნაკვალევი. ჰიტლერელი ბარბაროსების მხეცური ტორებით შებილწული, შევინებული [illegible]

[illegible]

ბისა და ყველა სხვა იმ ხალხების ფიზიკურად გაჟლეტის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოსახლეობენ; ბრძანება, რომ მოსპობილ იქნას უდიდესი კულტურული ღირებულებანი, სახელოვანი ისტორიის ძეგლები, რომლებიც წმინდა განძს წარმოადგენენ საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც ძვირფასი არიან მთელი ცივილიზებული კაცობრიობისათვის.

წითელი არმიის მეომრები, რომლებიც საბჭოთა მიწა-წყალს ათავისუფლებენ გერმანული ფაშისტური სი-

[illegible]

გამანადგურებელი ომი ჰქონოდათ და მივართვით კიდევაც.

ჰიტლერელი ბანდიტები იძულებული იქნებიან პასუხი აგონ ყველა დანაშაულისათვის. ჰიტლერელთა უმაგალითო ბოროტმოქმედებანი მხოლოდ აახლოებენ მათს დაღუპვას. ისტორიამ თავისი ულმობელი განაჩენი გამოუტანა მათ და ამ განაჩენს სისრულეში მოიყვანს საბჭოთა ხალხი მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან ერთად.

„პრავდის“ მოწინავე, 15/I.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 იანვრის დილის ცნობა

14 იანვრის ღამის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე გრძელდებოდა ჩვენი ჯარების აქტიური საბრძოლო მოქმედება.

* * *

ამხ. ეფრემოვის მებრძოლებმა (დასავლეთის ფრონტი) ერთი დღის ბრძოლების დროს ხელთ იგდეს გერმანელთა 8 ტანკი, 22 ქვემეხი, 68 ტყვიამფრქვევი, 8 ავტომანქანა და საომარი მასალებით დატვირთული 40 საზიდარი.

* * *

ამხ. ვორონოვიჩის ქვეგანაყოფმა ღრმად შემოუარა უკან დახეულ მტრის ნაწილებს, ზურგში მოექცა მათ და გაფთრებული ბრძოლის დროს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა.

* * *

ამხ. გოროდოვის მებრძოლებმა (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) ერთ დღეს მოსპეს მტრის 5 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 5 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალებით დატვირთული 12 საზიდარი. მტერმა 4 ოცეული ქვეითი ჯარი დაჰკარგა. ფრონტის მეორე უბანზე ამხ. პოდლასის ნაწილმა ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლის [illegible]

[illegible]

ურბევიათ ახეულის სამზარეულო. უნტერ-ოფიცერ ბრუნო ტიულეს 2 კილოგრამი ერბო მოუპარავს სამხედრო საწყობში. უნტერ-ოფიცერ რიჰარდ ჰერენტალერს თავისი ტანსაცმელი გაუყიდნია, ვილი სიმონს და სხვა მსროლელთ გაუქურდავთ თავისი თანამოსამსახურენი.

* * *

მოკლულ გერმანელ ეფრეიტორს უტჰენლეკს უპოვნეს სამშობლოში გაუგზავნელი წერილი, რომელშიც სწერია: „ორი კვირის წინათ ჩვენ დავმარცხდით და იძულებული გავხდით უკან დაგვეხია. იარაღისა და მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი დავტოვეთ. მხოლოდ რამდენიმე ამხანაგმა მოახერხა გადაერჩინა თავი და შეინარჩუნა ის ტანსაცმელი, ტანზე რომ ეცვა. ეს მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება“.

* * *

ჰიტლერელ ყაჩაღთაგან ამჟამად განთავისუფლებულ კურსკის ოლქის პრისტენსკის რაიონის სოფელ პლოსკოეს მცხოვრებლები გვიამბობენ: „გერმანელი ბანდიტები შემოიჭრნენ ჩვენს სოფელში. მხეცურად აწიოკეს გლეხები. [illegible]

[illegible]

ერთ-ერთ დღის განმავლობაში ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა დაანგრია გერმანელთა 13 ბლინდაჟი და მიწური, გაანადგურა 4 ძელ-მიწური საცეცხლე წერტი და 6 სატყვიამფრქვევო ბუდე. მტერმა 600 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ ლენინგრადის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმის მეთაურის დღიურის ნაწყვეტებს.

„30 დეკემბერი. გზაზე მოვსპეთ მტრის 2 სატვირთო ავტომანქანა, 9 გერმანელი ჯარისკაცი და 1 ოფიცერი.

31 დეკემბერი. რაზმმა დასწყვიტა [illegible]

[illegible]

დილიანობამ, ქალ. [illegible] 1941 წლის დეკემბერში ბავშვთა სიკვდილიანობამ, 1940 წლის დეკემბერთან შედარებით, ერთი-სამად იმატა.

* * *

საბჭოთა პატრიოტმა, გორკის დაზგათმშენებელი ქარხნის უფროსმა ოსტატმა ამხ. პობედინსკიმ სამღარეველო ჩარხის ძვირფასი მოწყობილობა გამოიგონა. წინათ ერთი დეტალის გაკეთებას 8 საათს ანდომებდნენ. ახლა კი ჩარხის ამ მოწყობილობის შემწეობით ამავე ხანში 48 დეტალს აკეთებენ. ამხ. პობედინსკის უბნის სტახანოველებმა მკვეთრად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, 5 იანვარს მღარეველმა ამხ. პუდკინმა ცვლის ნორმა 540 პროცენტით შეასრულა. რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. პუდკინმა ნორმა 1.620 პროცენტით შეასრულა. [illegible]

15 იანვრის საღამოს ცნობა

[illegible]

წითელი არმიის მთავარ სამხედრო პროკურატურაში

[illegible]

ღირსეულად შევეგებოთ წითელი არმიის XXIV წლისთავს

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მოიწონა ინიციატივა სტალინის სახელობის ავტოქარხნის კომკავშირელთა და ახალგაზრდობისა, რომლებმაც მოწოდებით მიჰმართეს მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას — დაიწყონ სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაავალა ყველა პროფორგანიზაციას მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე განიხილონ ეს მიმართვა, გააჩაღონ კომკავშირელებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებაში, შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდაში, პროდუქციის უკეთესი ხარისხისათვის. 15-დან 20 [illegible] საწარმოთა [illegible] კოლექტივებისა და ცალკეული მუშების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ რწმენა გამოსთქვა, რომ ყველა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები წარმატებით შეასრულებენ წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, კიდევ უფრო მეტ თვითმფრინავს, ტანკს, ზარბაზანს, ნაღმსატყორცნს, ავტომატს, ყუმბარას და სხვა საჭურველსა და საომარ მასალას მისცემენ ფრონტს და თავიანთი თავდადებული მუშაობით დააჩქარებენ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებას. (საკდესი).

თავდასხმა მტრის აეროდრომზე

კარელიის ფრონტი, 15 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტებისაგან). ჩვენი მფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს მტრის აეროდრომს ტ-ს რაიონში. ავიაგამანადგურებელთა ხუთეული წამყვან მაიორ ელისეევის მეთაურობით მოულოდნელად გაჩნდა აეროდრომის თავზე და საიერიშო დარტყმით გამოიყვანა მწყობრიდან თეთრფინელთა 7 ბომბდამშენი. მტრის 4 თვითმფრინავმა აფრენა მოასწრო. გაიმართა ბრძოლა, რამაც 12 წუთს გასტანა. ჩვენმა მფრინავებმა ოთხივე ძერა ჩამოაგდეს.

ი. ლაპონოგოვი,
პ. ბარანიკოვი.

ბრძოლები მედინისათვის

დასავლეთის ფრონტი, 14 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს [illegible] პირველი სროლებითვე 10 გერმანელი მოკლა. მტრებმა შენიშნეს გაბედული სნაიპერი და ცეცხლი წაუკიდეს სახლს, სადაც იგი იმ- [illegible]

[illegible]

გაბედული რეიდი ფაშისტთა ზურგში

[illegible]

გრანატების აფეთქებამ არევ-დარევა გამოიწვია სოფელში დაბანაკებულ გერმანელ ჯარისკაცთა შორის. ვერავის გაეგო, თუ რა მოხდა. ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ წითელი არმიის მებრძოლებს შეეძლოთ გა- [illegible] მეორე დღესვე გაწმენდილ იქნა ფაშისტებისაგან და ჩვენმა ნაწილებმა, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის დაკავების შემდეგ, წინ წაიწიეს.

ვ. არიფიევი

ძველი კვალიფიციური მუშების თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

14 იანვარს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შესდგა თათბირი ძველი კვალიფიციური საწარმოო მუშებისა, რომლებიც დიდი ხანია წავიდნენ საწარმოებიდან მათი სამეურნეო და სხვა სამუშაოებზე დაწინაურების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან პენსიაზე გადასვლის გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინიციატივით მოწვეული თათბირი, მიეძღვნა წითელი არმიის რიგებში წასული ამხანაგების შესაცვლელად ქარხნებსა და ფაბრიკებში ძველი კვალიფიციური მუშების დაბრუნების საკითხს.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანმა**, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ ძველი საწარმოო მუშები: ამხ. ნ. ს. ოჰანეზოვი (ფარმაკოქიმიური ქარხნის ყოფ. უპარტიო მუშა, 30 წლის საზეინკლო სტაჟით), ა. ე. ჯანელიძე (ზოოვეტერინარული ინსტი- [illegible]

[illegible]

ვენ მათ დაბრუნებას საწარმოებში, ისინი სიამოვნებით დაუბრუნდებიან დაზგებს და მთელ თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას, საქმის ღრმა ცოდნას მოახმარენ სამრეწველო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებას, რითაც უფრო ქმედითად და აქტიურად დაეხმარებიან ფრონტს, სამშობლოს, ამასთან თავის ცოდნას გაუზიარებენ ახალგაზრდა მუშებს. იქვე, თათბირზე, 70 ამხანაგმა განაცხადა საწარმოებში დაბრუნების სურვილი.

ამხ. ნ. ს. ოჰანეზოვი წავიდა სამუშაოდ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, საქენერგოს მომარაგების განყოფილების უფროსი, ა. ა. დაბალიშვილი, ძველი მაღალკვალიფიციური ზეინკალი, მრავალი წლის საწარმოო სტაჟისა და გამოცდილების მქონე, რომელსაც ათეულობით კვალიფიციური მუშები ჰყავს აღზრდილი,—რადიოქარხანაში, [illegible]

[illegible]

ხმაურნენ მოწოდებას — კვლავ დადგნენ დაზგებთან, კიდევ უფრო მეტად დაეხმარონ მშობლიურ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა განადგურებაში.

მათ განაცხადეს, რომ დღეს სამშობლოს ინტერესები, ფრონტის ინტერესები, მუხანათ მტერზე გამარჯვების ინტერესები მოითხო- [illegible] მონტო ქარხანაში და ა. შ.

თათბირის შედეგების შეჯამებისას ამხ. **ჩარკვიანმა** აღნიშნა, თუ რამდენად საჭიროა, რომ ამ შესანიშნავმა პატრიოტულმა ინიციატივამ ფართო გამოძახილი ჰპოვოს საქართველოს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

ქვანახშირის ამოღება წარმატებით მიმდინარეობს

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებმა 14 იანვარს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, 13 იანვართან შედარებით საგრძნობლად გაზარდეს ქვანახშირის ამოღება.

სტალინის სახელობის მაღაროში გაუმჯობესდა მოსამზადებელი სამუშაოები. 14 იანვრის განმავლობაში მაღაროს სიღრმეში წინსვლა 45 მეტრს შეადგენს. ეს სამუშაოები შეასრულა წინსვლის ოსტატ მაქსიმე დელისუპის სტახანოვურმა ბრიგადამ.

დასავლეთის მაღაროს ახალი ხელმძღვანელობა სასწრაფოდ ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის.

დ. საბელაშვილი

დასავლეთის ფრონტის ჯარების ნადავლი 1942 წლის 6-დან 15 იანვრამდე

გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლების დროს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა 1942 წლის 6-დან 15 იანვრამდე ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 331 ქვემეხი, 50 ტანკი, 155 ნაღმსატყორცნი, 747 ტყვიამფრქვევი, 59 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 199 ავტომატი, 4.644 შაშხანა, 1.446 ავტომანქანა, 175 მოტოციკლი, 1.039 ველოსიპედი, 21 ავტოცისტერნი, 20 საწევარი ტრაქტორი, 558 საზიდარი ტვირთითურთ, 1 თვითმფრინავი და 7 სარკინიგზო პლატფორმა დაშლილი თვითმფრინავებითურთ, 32 რადიოსადგური, 166 უნაგირი, 1 საველე პურის ქარხანა, 29 სამზარეულო, 38 ორთქლმავალი, 136 დახურული ვაგონი, 95 სარკინიგზო პლატფორმა, რკინიგზის 2 ცისტერნი, 59.490 ყუმბარა და ცალკე 25 ვაგონი ყუმბარა, 40 საზიდარი და ცალკე 32 საყუმბარო ყუთი ყუმბარებითურთ, 5.098 ხელის გრანატი და ცალკე 22 ყუთი გრანატი, 18.745 ნაღმი და ცალკე 48 ყუთი ნაღმი, 700 ავიაბომბი, 10 ყუთი დენთი, 1.882.000 ვაზნა.

გარდა ამისა, ხელთ ვიგდეთ ეშელონები: 1—ტანკებისა, ავტომანქანებისა და მოტოციკლებისა, 1—საქარხნო და სარკინიგზო მოწყობილობისა, 10 ვაგონი ტანსაცმლითურთ.

6-დან 15 იანვრამდე გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 14 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ერთი გენერალი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

გერმანიის მიერ ოკუპირებული მოკავშირე ქვეყნების დეკლარაცია ჰიტლერელთა და მათ თანამონაწილეთა დასჯის შესახებ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო

ლონდონი, 13 იანვარი (საკდეს). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ლონდონში, სეინტ-ჯეიმის სასახლეში გაიმართა ჰიტლერის გერმანიის მიერ ოკუპირებული მოკავშირე ქვეყნების კონფერენცია ოკუპირებულ ქვეყნებში ფაშისტთა მძლეობის საკითხის შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, თავისუფალი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის, საბერძნეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა. ინგლისის, სსრ კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისის დომინიონებისა და ჩინეთის მხრივ მეთვალყურენი დაესწრნენ.

მოკავშირეთა კონფერენციამ შემდეგი დეკლარაცია მიიღო.

„მხედველობაში რა მიიღეს:

რომ გერმანიამ ახლანდელი კონფლიქტის დაწყებიდან, რომელიც მისი აგრესიული პოლიტიკის შედეგად წარმოიშვა, ოკუპირებულ ქვეყნებში დაამყარა ტერორის რეჟიმი, რაც გამოიხატება მასობრივი დაპატიმრებებით და გაძევებით, მძევალთა სიკვდილით დასჯითა და მასობრივი მკვლელობით;

რომ ასეთ ძალადობას სჩადიან აგრეთვე [illegible]

[illegible] მხარდი რწმენით შეპყურებდნენ. სასიამოვნოა, რომ ეს კონფერენცია მოიწვიეს იმათ, ვინც უშუალოდ არის დაინტერესებული — ოკუპირებული ქვეყნების მთავრობებმა. სასიამოვნოა, რომ მათ ხელში აიღეს ინიციატივა, განაცხადეს რა პრინციპები, რომლებითაც ისინი იხელმძღვანელებენ თავის განთავისუფლებულ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ. აქ წარმოდგენილი ყველა ხალხი სხვადასხვაგვარად დაზარალდა სასტიკი აგრესორებისაგან. მათი შეერთებული ძალა, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, ახლა მიმართულია საერთო საქმის ინტერესებისადმი, უზრუნველჰყოფს ამ საერთო საქმის გამარჯვებას და სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარებასა და დაცვას".

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა სიკორსკიმ თავის გამოსვლაში განაცხადა: „ამ დეკლარაციის ღირებულება, რომელსაც ჩვენ ხელი უნდა მოვაწეროთ, მთელი სისრულით გამოჩნდება საბოლოო გამარჯვების დღეს. მაგრამ ამჟამადაც მას არანაკლები არსებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრით, დეკლარაცია გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა მათთვის, ვინც სჩაგრავს ან ხელს უწყობს [illegible]

[illegible] რაციას, როგორც ყველა ოკუპირებული ქვეყნის სოლიდარობის გამოხატულებას და მნიშვნელოვან და აუცილებელ ღონისძიებად მიაჩნია იგი ჩვენი მომავალი ცივილიზაციის დასაცავად. ნორვეგიის მთავრობა ისწრაფვის ყოველივე შესაძლებელი გააკეთოს, რათა განხორციელდეს თანამშრომლობა ყველა სხვა მოკავშირესთან და იმისათვის, რომ ჰიტლერელმა დამნაშავეებმა, ხოლო ისინი სწორედ რომ დამნაშავენი არიან, — ჯეროვანი სასჯელი მიიღონ".

ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა შრამეკმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა გულწრფელად უერთდება ამ დეკლარაციას და დარწმუნებულია, რომ მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მხარს დაუჭერს მთავრობას. გერმანელების დანაშაულთა ნუსხაში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი, რომელიც ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიმართ არ ჩაედინოთ. ასობით ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქე სიკვდილით დასაჯეს ან წამებით მოჰკლეს; ათიათასობით საპყრობილეებში ან საკონცენტრაციო ბანაკებში შეჰყარეს, ასიათასობით იძულებით სამუშაოზე გაგზავნეს. მთელი რაიონების მოსახლეობა [illegible]

გენერალ სიკორსკის ინტერვიუ

ლონდონი, 14 იანვარი (საკდეს). გაზეთმა „ფრანსმა", რომელიც ლონდონში გამოდის ფრანგულ ენაზე, გამოაქვეყნა საუბარი პოლონეთის პრემიერ-მინისტრ გენერალ სიკორსკისთან. სიკორსკიმ განაცხადა: „მთელი მსოფლიოს გენერალური შტაბების ხელმძღვანელები შესცდნენ საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობის უნარისა და საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცის თავიანთ შეფასებაში. საბედნიეროდ, შემცდართა შორის პირველი ადგილი თვითონ ჰიტლერს უკავია".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ, სიკორსკის მიერ მიღებული სარწმუნო ცნობებით, აღმოსავლეთში გერმანიის არმიების დამარცხება, გარდა სამხედრო შედეგებისა, პოლიტიკურ შედეგებსაც გამოიწვევს და კერძოდ გავლენას მოახდენს სამოქალაქო მოსახლეობისა და ჯარების მორალურ მდგომარეობაზე. ამას ადასტურებენ ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანელი ჯარისკაცი უკვე აღარ ენდობა იმ ადამიანებს, რომლებიც მას მეთაურობენ.

გენერალმა სიკორსკიმ თავისი დიდი კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საკითხების გადაწყვეტის შედეგებით.

გერმანელები ბალტიისპირეთს სძარცვავენ

სტოკჰოლმი, 14 იანვარი (საკდეს). გერმანიის ბალტიისპირეთის საოკუპაციო ხელისუფალნი გაძლიერებით ჰგზავნიან მთელ ნაძარცვ ნივთებს გერმანიაში. ბალ- [illegible]

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ინგლისში

ნიუკასლი, 14 იანვარი (საკდეს). 11 იანვარს საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წევრები ამხ. შვერნიკი, კაზაკოვი და იაკუბოვი დაესწრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ სამრეწველო რაიონის პროფსაბჭოთა 800 დელეგატის კონფერენციას ნიუკასლში. კონფერენციას დაესწრო გემსაშენების, მანქანათმშენებელი ქარხნების, შახტების, ტრანსპორტისა და სხვა ორგანიზაციების დიდძალი დელეგატი.

იმ დარბაზის შესასვლელთან სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა, დელეგატებმა, რომლებსაც რუსულ ენაზე დაწერილი პლაკატები მიჰქონდათ, ოვაცია გაუმართეს თავის საბჭოთა ამხანაგებს. კონფერენცია კიდევ უფრო მხურვალე ოვაციით შეეგება საბჭოთა პროფკავშირების დელეგატებს, როდესაც კონფერენციის თავმჯდომარემ სათითაოდ წარუდგინა ისინი დამსწრეთ.

სიტრინმა გენერალური საბჭოს სახელით კონფერენციაზე შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მიესალმება ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის შექმნას. რეზოლუციაში გამოთქმულია აღტაცება წითელი არმიის გმირობით. რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მაქსიმალურად გადიდდეს პროდუქცია და ყველა ორგანიზაციას მოუწოდებს საჭირო ნაბიჯები გადადგან ამ დარგში.

დელეგატებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოეს სიტრინი, როდესაც მან უამბო მათ, თუ როგორ მუშაობს საბჭოთა ხალხი და როგორ ემზადებოდა იგი თავისი ქვეყნის [illegible]

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წევრებს [illegible] მა ბობ სმიტმა, რომელმაც [illegible] ბის მრეწველობის მუშათა სახელით ვალდებულება იკისრა უმოკლეს ვადაში აანაზღაურონ საომარი გემების — „რიპალსისა" და „უელსის პრინცის" დაკარგვა.

ნიუკასლი, 14 იანვარი (საკდეს). 12 იანვარს საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ესტუმრა ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო-საზღვაო გემსაშენს. დელეგატებმა სტაპელებზე ნახეს მრავალი საომარი და სავაჭრო გემი, რომელთა მშენებლობა მთავრდება. საბჭოთა დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე ერთი რამდენიმეთაგანი უდიდესი ტანკერი. მუშები ყველგან მიესალმებოდნენ ამხ. შვერნიკსა და დელეგაციის წევრებს. სადილობის შესვენების დროს სასადილოში თავი მოიყარა მრავალმა ასეულმა მუშამ და სულგანაბული უსმენდა კაზაკოვს, რომელმაც ლენინგრადის ქარხნების მუშათა სალამი გადასცა გემსაშენთა მუშებს და განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მტკიცე ნებისყოფით სამაგიერო მიუზღოს ჰიტლერელებს სისასტიკისათვის.

შემდეგ დელეგაციამ სამხედრო-საზღვაო კატერით, რომელზედაც საბჭოთა სამხედრო-საზღვაო დროშა ფრიალებდა, შემოიარა გიგანტური გემსაშენი აუზი, სადაც გამართულია ათობით სტაპელი. ყველგან სტაპელებზე და გემებზე მყოფი მუშები, აგრეთვე საომარი გემების მეზღვაურები და მატროსები ესალმებოდნენ დელეგაციას. ამ მგზავრობის [illegible]

[illegible]

ომი წყნარ ოკეანეში

[illegible]

ნოქსის გამოსვლა

[illegible]

ფეხბურთი

[illegible]

თეატრები

[illegible]

ლექციები და მოხსენებები

[illegible]